

## ნატალია გორბუნოვა

*პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი*

*ყირიმის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი*

### მულტილინგვური განათლების გარემოს პრობლემები

#### აბსტრაქტი

სტატია შეეხება ამჟამინდელ ენობრივ სიტუაციას უკრაინაში. განხილულია მულტილინგვური განათლების პრობლემები, მოცემულია უკრაინის ტიპური მოქალაქისათვის საჭირო სპეციფიკური ისტორიული წინაპირობები ენობრივი იდენტობის ჩამოსაყალიბლებად.

**საკვანძო სიტყვები:** ენობრივი სიტუაცია; მულტილინგვური განათლება; ენობრივი იდენტობა.

თანამედროვე საზოგადოების ყველა სფეროს ინტერნაციონალიზაცია გვკარნახობს, თუ როგორ უნდა იყოს განათლების პროცესი ორგანიზებული და როგორი უნდა იყოს მისი შინაარსი. თანამედროვე ხალხს უფრო და უფრო ხშირად უწევს რასობრივ, ეროვნულ და რელიგიურ ფაქტორებთან შეხება. ამ გადმოსახედიდან, განათლების პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა არის ახალგაზრდა თაობისათვის ტოლერანტობის ჩანერგვა. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს განათლებისა და აღზრდის პროცესის მულტიკულტურულ სივრცეში ორგანიზებას. მრავალეროვანი საზოგადოების წევრები და მულტიკულტურული გარემო ასწავლის ბავშვებსა და ზრდასრულებს ტოლერანტობას კულტურათა

ბუნებრივი დიალოგის პროცესში.

ენის ფილოსოფიური გაგების ახალი აღმავლობა დაკავშირებულია ენის სოციალური ასპექტების მიმზიდველობასთან. განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ენის სოციალიზაციის როლს და, შესაბამისად, კომუნიკაციის პროცესის ბუნებას თანამედროვე სამყაროში. ის ლექსიკაში ინახავს ხალხის გამოცდილებას და ახდენს კომუნიკაციის ორგანიზებას, უზრუნველყოფს თაობებს გამოცდილებითა და ინფორმაციით და ქმნის სოციალურ დრო-სივრცულ კულტურას. ენა არის არა მხოლოდ ფიქრისა და კომუნიკაციისთვის საჭირო ხელსაწყო, არამედ ინფორმაციული სივრცის გასაღებიც.

ყოველი ახალი თაობა, რომელიმე ეთნიკური ჯგუფის ყოველი წარმომად-

გენელი ეუფლება ენას, რადგან ის არის კოლექტიური გამოცდილების, ცოდნისა და სოციალური ღირებულებების ნაწილი. ის არის „ისტორიის არქივი“ და „მშვიდობის კულტურის გამოცდილება“. ხალხი ქრება, ხალხის მიერ შექმნილი სიტყვები კი სამუდამოდ ინახება საგანძურში.

დღესდღეობით იკვეთება ფილოსოფიური და ლინგვისტური პრობლემები ადგილშეცვლილი აქცენტებისა: ენის, როგორც ნიშანთა სისტემის (ენა როგორც ინფორმაციის მიმოცვლის საშუალება) სტატიკურმა კონცეპტმა გზა გაუხსნა ენის დინამიურ კონცეპტს (ენა, როგორც ღირებულებების ჩამოყალიბებისა და დახვეწის გზა).

ენა საგანმანათლებლო ღირებულებაა. ეს მიდგომა გულისხმობს სამყაროს აღქმის ლინგვისტურ ბუნებას, სპეციალურ არეს, რომელშიც მსოფლიოს გახსნილობა რეალიზებულია, როგორც ჰერმენევტიკის პროცესი.

ჰერმენევტიკაში ცენტრალურია „ენა როგორც ურთიერთგაგების უნივერსალური მედიუმი (საშუალება)“; ენა, როგორც სამყაროს ბუნება, სოციალური და კულტურული განვითარების უნივერსალური კოდი. ლინგვისტური ფენომენი ჰერმენევტიკის კვლევის განსაკუთრებულად საინტერესო ობიექტია. ამავდროულად, ის ჰერმენევტიკის მეთოდი და ინსტრუმენტიცაა.

ჰერმენევტიკული მიდგომები მიმართულია ენის ფილოსოფიისკენ სემიოტიკის, სემანტიკისა და ეტიმოლოგიის პერსპექტივიდან. ნების-

მიერი ცოდნის ბაზისი აქ ტექსტია.

სემანტიკური სივრცის ნებისმიერ ინფორმაციას აქვს კონცეპტუალური სფერო, რომლის საშუალებითაც ის ერგება რეალობას და ახერხებს სხვა, მონათესავე, მეცნიერებებთან ინტეგრაციას. სიტყვათა მნიშვნელობებთან მუშაობისას მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ სიტყვებს შორის განსხვავებას, მათ მსგავსებებსა და ურთიერთმიმართებას. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ურთიერთმიმართება. მნიშვნელოვანია, შევამოწმოთ არა მხოლოდ სიტყვათა მნიშვნელობა, არამედ გამოვიკვლიოთ მნიშვნელობები, რომელთაც შეიცავს ეს სიტყვები და მიზეზები, რომლებიც ახსნიან ამ სიტყვების გამოყენებას.

უკრაინის სიტუაციისათვის დამახასიათებელია საკამათო ფაქტორთა კომბინაცია. ასე რომ, შეუსაბამობამ ძირითადი „უკრაინული იდეის“ ჩამოყალიბების მცდელობასა და იმ რეალობებს შორის, რომლებშიც ეს იდეა დღესდღეობით ოპერირებს, შეიძლება გამოიწვიოს დამაბულობის ზრდა საზოგადოებაში. უფრო მეტიც, ეს პროცესი თანამედროვე უკრაინაში სხვადასხვა სფეროში აისახება, განსაკუთრებით კი - იმ სფეროებში, სადაც უკრაინული და რუსული ენები და კულტურები ფუნქციონირებს. ეს სიტუაცია, „ეროვნული ენის“ საკითხთან ერთად, იწვევს არაერთ უარყოფით შედეგს, რომელთა ინდეტიფიკაცია და გაგებაც მოითხოვს ზოგიერთი ენობრივი ნიუანსის განხილვის საჭიროებას.

მართლაც, ენაში, როგორც მედიუმში, ადამიანთა შორის კომუნიკაციის პროცესში, არსებობს დამახასიათებელი ნიშანი, რომლის დავიწყებაც დაუშვებელია: ადამიანთა ენობრივი უფლებების დარღვევა წარმოქმნის მძაფრ გარე რეაქციას, რომელიც იწვევს ადამიანთა ცხოვრებისა და, შესაბამისად, მისი მენტალური ბალანსის დარღვევას.

1991-1994 წლებთან შედარებით, ენის პრობლემა უკრაინაში საკმაოდ შეიცვალა. ადრე მას უკრაინის სახელმწიფოებრიობის კონტექსტში განიხილავდნენ, ახლა კი უფრო სოციალური ფუნქციონირების კონტექსტში აისახება.

გასათვალისწინებელია, რომ უკრაინაში არსებობს ისტორიული ვითარება, რომელშიც ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელიც ვერ ლაპარაკობს რუსულად ან უკრაინულად. ასე რომ, სოციოკულტურული თვალსაზრისით, „უკრაინულად მოლაპარაკე“ და „რუსულად მოლაპარაკე“ მოსახლეობები აბსტრაქციებია, რომლებიც ასახავენ ერთ-ერთი ენის გამოყენებისათვის უპირატესობის მინიჭებას. უკრაინაში სპონტანური ბილინგვიზმი და მულტილინგვიზმი ხშირად პიროვნული არჩევანისა და თვითგანსაზღვრის პრობლემაა.

დღესდღეობით უკრაინაში ენის ფუნქციონირება განსაზღვრულია რთული ურთიერთდამოკიდებული ფაქტორებით, რომელთა შორისაცაა ფსიქოლოგიური ფაქტორიც. ის მულტილინგვურია (რუსული და უკრაინული) ორი მთავარი ფაქტორის ზეგავლენით: პირადული და

ფსიქოლოგიური: მშობლიური ენის იდეა შეიცავს ეთნიკურ-მშობლიური ენისა და კულტურულ-მშობლიური ენის გაგებას სოციოფსიქოლოგიურ, სოციოპროფესიულ და ოჯახურ გარემოში.

უკრაინის მოსახლეობის დამოკიდებულება ბილინგვიზმის აქტიურ გამოყენებასთან (მეორე ენის გამოყენებასთან) ასევე ორი ფაქტორითაა განპირობებული - პიროვნული და ფსიქოლოგიური: ენის ფლობის დონე, ლინგვისტური აზროვნების ტიპი, ენის პრაქტიკული გამოყენების სიმარტივე. სოციოფსიქოლოგიური: მეორე ენის ფლობის დონის თვითშეფასება და მეორე ენის დაუფლების საჭიროების გაგება.

თუმცა, თანამედროვე რეალობა განასხვავებს ენის გამოყენების სამ დონეს: ყოველდღიური კომუნიკაცია, სოციალური, პროფესიული, ადმინისტრაციული და საჯარო, საზოგადოებასთან საურთიერთო. ხალხის უმეტესობა ენის ამ დონეზე გამოყენებას კერძო საქმედ და თითოეული პიროვნების „ბუნებრივ უფლებად“ მიიჩნევს. ყოველდღიური კომუნიკაციის დონე ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ის აკმაყოფილებს ინდივიდთა და ოჯახთა კულტურული და რეკრეაციონალური საჭიროებების საბაზისო მოთხოვნილებას. მოსახლეობის 38%-ს უფრო მეტად აწუხებს „განათლების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები“, ხოლო 37% ღელავს „კულტურული საჭიროებების დაკმაყოფილებების მცირე შესაძლებ-

ლობებზე“.

სოციოპროფესიული დონე მოიცავს სოციალური კონტაქტებისა და პროფესიულ წინაპირობათა რთულ სიმრავლეს. რუსულად მოლაპარაკე მოსახლეობაში ეს დონე იწვევს ყველაზე დიდ დისკომფორტს. ახალ სოციალურ პირობებთან, მათ შორის ენობრივ მოთხოვნებთან, შეგუება შეიძლება ორგვარად მოხდეს - როგორც სოციალური ადაპტაცია და როგორც სოციალური კონფორმიზმი. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ დღევანდელი სიტუაცია უკრაინაში იწვევს მასობრივ სოციალურ კონფორმიზმს - მოსახლეობის ნახევარზე მეტი იძულებულია, გამოიყენოს უკრაინული ენა სოციალურ დონეზე, ხოლო ფსიქოლოგიურად რუსულ ენას ანიჭებს უპირატესობას. ამდენად, ენობრივ სიტუაციას დღევანდელ უკრაინაში განსაზღვრავს კიდევ ერთი ფაქტორი - ცხოვრების სოციალური პირობების სუბიექტური შეფასება, რომელიც აისახება კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარსა და სოციალურ დონეზე უკრაინული ენის გამოყენების დონის გაგებაზე.

ადმინისტრაციული და საჯარო (საზოგადოებასთან) ურთიერთობის დონე ძირითადად დოკუმენტების შედგენას ეხება. ადამიანთა უმრავლესობაში ენის ამ დონეზე გამოყენება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, თუმცა არ იწვევს ფსიქოლოგიურ უარყოფას.

შევნიშნავთ, რომ ამ ყველაფრის გამო ენის პრობლემა არის ფართო საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი, საკმაოდ მძაფრი პრობლემა. ამის მიუხედავად, უშუალოდ ენის „პრობლემების“ მიერ ღია და ფართომასშტაბიანი კონფლიქტის გამოწვევა არაა სავარაუდო. ასეთი კონფლიქტი ამჟამად პრევენციას უკეთებს ფსიქოლოგიურ, გეოპოლიტიკურ, სოციალურ პრობლემებს.

უკრაინაში ამ პრობლემის გადაწყვეტის წარმატებასა და წარუმატებლობაზე დიდწილადაა დამოკიდებული ქვეყანაში მიმდინარე სოციოკულტურული პროცესები და უკრაინის ურთიერთობა ზოგიერთ მეზობელ ქვეყანასთან. ამ პრობლემის გადაწყვეტისას გონიერება და ბალანსის დონე განაპირობებს უკრაინის, როგორც ევროპული ქვეყნის, სახეს.

ის ვერ იარსებებს კულტურის გარეშე. ეს არის კულტურის დაუშრეტელი მრავალფეროვნების ვერბალური ინკარნაცია. ვერბალური ჰიპოსტასის კულტურის მსგავსად, არ არის მხოლოდ ამ უკანასკნელის რეპრეზენტაციის ფორმა და, ნაკლებად სავარაუდოა, იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმა კულტურული რეპრეზენტაციისა, რადგან ვიზუალური განსხვავების შესაძლებლობას იძლევა და, შესაბამისად, განარჩევს კულტურას მის ფუნქციონალურ გამოვლინებებში.

ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ დღესდღეობით უკრაინელი ხალხი

სპონტანურად და თანდათანობით ერთიანდება და აღიქვამს თავს, როგორც ერთ ბიოკულტურულ სხეულს, რომლის მთავარ კომპონენტებს შორის ეთნიკური განსხვავებებიც არაა მნიშვნელოვანი და არ იწვევს დაპირისპირებებს. დამოუკიდებელი უკრაინის სახელმწიფოს არსებობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი უკრაინის საზოგადოების ორ ჯგუფს შორის იარსებებს და გაძლიერდება თანამშრომლობა და ერთიანობა. შესაბამისად, ფაქტები, რომლებიც ასახავს უკრაინის საზოგადოების ბუნებრივ გაერთიანებას, მხოლოდ ბუნებრივ და ლოგიკურ პროცესს ასახავს.

ამგვარი შესაძლებლობისა და მისი განხორციელების რეალური ნიშნები, პრინციპში, იმას ნიშნავს, რომ არსებობს უკრაინის პოლიგლოტური კულტურის ორი ძირითადი კომპონენტის გაერთიანების რეალური ნიშნები და შანსი. ასე რომ, საუბარი არაა მათ პარალელურ ოპერირებაზე, არც ერთი კომპონენტის მიერ მეორის „დაპყრობაზე“ და უკრაინულ და უკრაინულ-რუსული კულტურების თანდათანობით ურთიერთასიმილაციასა და მათ ერთიან ბილინგვურ უკრაინად ტრანსფორმაციაზე, რომელიც შეძლებდა ფუნდამენტურად ახალი სიტუაციის შექმნას ქვეყნის სოციოკულტურულ სივრცეში. უკრაინაში უკრაინული და რუსული კულტურების დიალოგის უარყოფა და უკრაინული და რუსული კულტურების გაერთიანება მხოლოდ ერთ შედეგს მოიტანს - კულტურების კონფორ-

ტაციას.

განათლების მულტიკულტურული ბუნება შემდეგ კომპონენტებს შეიცავს: მოქალაქეობისა და საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობის მიღების სურვილის სწავლება, საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, დემოკრატია, ურთიერთგაგება, საუბარი, ადგლობრივი, ინტერნაციონალური და ისტორიული კულტურების შესწავლა კულტურული პლურალიზმის კონტექსტში, დემოკრატიული საზოგადოების სასაფუძვლო ღირებულებების დაცვისა და გაუმჯობესების სწავლება, განათლების ყველა დონის განვითარება და გაუმჯობესება, მათ შორის მასწავლებლების ტრენინგი, მათი უნარების გაუმჯობესება.

მულტიკულტურიზმის კონცეფციის თანახმად, ეროვნული განათლება ნიშნავს ლინგვისტური, კულტურული, მულტიეთნიკური და სულიერი მრავალფეროვნების არსებობას საგანმანათლებლო გარემოში. განსაკუთრებით საინტერესოა ამ სფეროში ი.ვ. ბონდარევსკაიას, ზ.ა. მალკოვასა და ლ.მ. სუპორუკოვას ნამუშევრები. ბონდარევსკა მიიჩნევს, რომ მულტიკულტურული განათლების ერთ-ერთი მიზანია, შექმნას განსხვავებული კულტურული გარემო, სადაც ბავშვი გამოიმუშავებს და შეიძენს გამოცდილებას კულტურულ იდენტობასა და თვითშემოქმედებით ქცევებში. ი.ა. მოსკალენკოს აზრით, გლობალიზაცია განათლებას რთულ დავალებას უსახავს: მოამზადოს ახალგაზრდა ადამიანები მულტიეთნიკურ და

მულტიკულტურულ გარემოში საცხოვრებლად, გამომამუშავებინოს განსხვავებული ეროვნების, რასისა და რელიგიის ხალხთან კომუნიკაციის უნარები. უმნიშვნელოვანესია. ვასწავლოთ ახალგაზრდებს განსხვავებულ კულტურათა უნიკალურობის გაგება და დაფასება, ვასწავლოთ, რომ მშვიდობითა და პატივისცემით შეხვდნენ ნებისმიერ ადამიანს. ეს გამოკვლევა ხაზს უსვამს ინტერნაციონალური კომუნიკაციის პრობლემის გადაწყვეტისადმი ტ.ფ. კრიაკლინაიას კულტურული მიდგომის მნიშვნელობას. ეს მიდგომა მოიცავს სხვა ხალხის კულტურული ფასეულობებისადმი ინტერესის გაღვივებასა და მათი იდენტობის ადეკვატურ აღქმას.

ტ. ფ. ბორისოვას კვლევა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მულტიკულტურული საგანმანათლებლო გარემო ხასიათდება გახსნილობით, ხალხისა და საზოგადოების საგანმანათლებლო საჭიროებებზე სწრაფი რეაგირებით, რაც აისახება კურსებისა და მასწავლებლების პროფესიული განვითარების შინაარსზე, კომუნიკაციასა და ინტერნაციონალურ კოოპერაციაზე. იგი უნდა იყოს თეორიული სწავლებისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირი, რეგიონის სოციო-კულტურული კონტექსტის, ტრადიციების, სულიერი მემკვიდრეობისა და მულტიკულტურული პროცესის გათვალისწინებით.

რეგიონის მულტიკულტურულ საგანმანათლებლო გარემოს მახასიათებლებზე დაფუძნებით აღიარებულია, რომ თანამედროვე მულტიკულტურული

განათლების სისტემის შინაარსი უნდა ასრულებდეს შემდეგ კრიტერიუმებს და ასახული უნდა იყოს სასწავლო მასალებში: ჰუმანიტური იდეების სწავლება, თავისუფლებისა და არაძალადობის იდეები, უკრაინისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური და ეროვნული იდენტობების უნიკალური მახასიათებლები, უკრაინის კულტურის გახსნილობა იმ ელემენტებისათვის, რომლებიც ჰარმონიულ ცხოვრებას უწყობენ ხელს, ტოლერანტობა, გლობალიზაციის მიღება, ერებისა და ხალხების დამოუკიდებლობა; კაცობ-რიობა, რომელიც აღიარებს დემოკრატიის პოზიტიური ბუნების აბსოლუტურ რწმენას ბავშვებისა და ზრდასრულების თანასწორ უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე დაფუძნებით და რომელიც მოიტანს თავისუფლებას ოჯახებში, სკოლებში, სოციალურ გარემოში; სხვადასხვა ეროვნების, რელიგიისა და კომპეტენციის, განსხვავებული გარეგნობის, მანერების, ჩვევებისა და თავისებურებების მიმართ ტოლერანტობა, ანუ სპეციალური მასწავლებლების საჭიროება განსხვავებული შესაძლებლობების ბავშვთათვის, რათა მათ მიიღონ ცოდნა და ინტელექტუალური განათლება, რომლის შედეგადაც პიროვნებას შეეძლება გადაჭრას შემოქმედებითი ტიპური საკითხები, რომლებიც მულტიკულტურული საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი და მულტიკულტურული განათლების საფუძველს წარმოადგენს.

მულტიკულტურული განათლების პრობლემა გლობალურ და რეგიონულ დონეებზე არა მხოლოდ რელევანტურია, არამედ რეალობის ამსხველია. ამ ფენომენის პედაგოგიკური შინაარსის მახასიათებლების განვითარება დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, გვთავაზობს მულტიკულტურული განათლების სივრცის რაციონალურ ფუნქციებს, მასწავლებლების ტრენინგისა და რეტრენინგის ფსიქოლოგიური და პედაგოგიური საფუძვლების შემუშავებას. მასწავლებელთა განათლების პროგრამების იმპლემენტაცია უნდა მოხდეს თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე დაყრდნობით და უნდა მოახდინონ მულტიკულტურული განათლებისა და ტრენინგის იდეების, ჰუმანიზმის ფილოსოფიისა და კროსკულტურის პრინციპების ინოვაცია. ამ იდეის მთავარი მიდგომებია: კაცობრიობა, რომელიც აღიარებს ადამიანის უმაღლეს ღირებულებას, მათი ღირსებისა და სამოქალაქო უფლებების დაცვას, პიროვნების შესაძლებლობების სრული და თავისუფალი გამოხატვისთვის საჭირო პირობების შექმნას. საგანმანათლებლო მხარდაჭერა და დამხარება დაფუძნებული უნდა იყოს ბავშვებსა და მათ ოჯახებზე ფსიქოლოგიურ და საგანმანათლებლო ეფექტებზე, ბავშვის ღრმა პატივცემადზე, ინდივიდუალური მახასიათებლებისა და შესაძლებლობების პრიორიტეტულობის აღიარებაზე; კროსკულტურის მიხედვით, რომელსაც მიყვარათ კულტურათა

თანასწორობამდე და მრავალფეროვნებამდე, მათ თვითღირებულებამდე და მნიშვნელობამდე, მათ როლამდე ინტეგრაციაში, რათა შესაძლო გახდეს ინდივიდის წარმატებული იდენტიფიკაცია და სხვა კულტურაში ადაპტაცია.

21-ე საუკუნეში საგანმანათლებლო ინსტიტუცია, როგორც მულტიკულტურული განათლების ადგილი, შეიმუშავებს მულტიკულტურული განათლების თეორიასა და პრაქტიკას: მეთოდოლოგიურ აპარატს, რომელიც მიემართება „მულტიკულტურული განათლების“ კონცეფციის უნივერსალურ, ინტერნაციონალურ და ეროვნულ პრინციპებს; ასევე: კულტურას, როგორც მულტიკულტურული განათლების საბაზისო ცნებას; კულტურულ ფუნქციებს; გლობალურ, უნივერსალურ, ეროვნულ, პიროვნულ კულტურებს; მულტიკულტურულ განათლებას, როგორც კულტურულ ფენომენს; შემდეგ მოდის კულტურათა დიალოგი, რაც გულისხმობს: პოლილინგვურ და ბილინგვურ იდენტობას, გლობალურ პროცესებს მულტილინგვური განათლების ჩამოყალიბებაში, მულტიკულტურული განათლების ობიექტებს, ფუნქციებს (ჰუმანისტური ორიენტაცია, კულტურული, საგანმანათლებლო, კომუნიკაციური, ადაპტაციური), პიროვნებაზე ორიენტირებული განათლების წამყვანი პედაგოგიური პარადიგმების მულტიკულტურული განათლების მოდელს, კულტურულ მიდგომას (როგორც ობიექტურ ურთიერთობას ადამიანსა და

კულტურას, ფასეულობებს და სინერგიულ მიდგომას - როგორც მულტიკულტურულ განათლებაში თვითაქტუალიზაციის პედაგოგიკურ სისტემას შორის). ამავე დროს, მულტიკულტურული განათლების მოდელის მოწინავე პედაგოგიკური პარადიგმა - პიროვნებაზე ორიენტირებული განათლება, კულტურული მიდგომა (როგორც ობიექტური ურთიერთობა ადამიანსა და კულტურას, ღირებულებებს, სინერგეტიკულ მიდგომას, როგორც მულტიკულტურული განათლებისას თვითაქტუალიზაციის პედაგოგიკურ სისტემას შორის), საზოგადოებრივი განათლებისა და ეთნოპედაგოგიკის განვითარება მულტიკულტურული განათლების პროცესში, საკითხი, მიზნები, საშუალებები, განვითარების ფაქტორები, სტერეოტიპები, მულტიკულტურული განათლებისა და ეთნოპედაგოგიკის კორელაცია. ერთ-ერთი ეტაპია მულტიკულტურული მასწავლებლის განათლების სფეროში პედაგოგიკური კულტურის ჩამოყალიბება: მულტიკულტურული განათლება, როგორც მასწავლებლის კულტურის ნაწილი, მულტიკულტურული განათლების კონცეპტუალური იდეები, „ჰუმანიტარული დაცვის“ ჩამოყალიბება. შემდეგი კომპონენტია მულტიკულტურული განათლების სპეციფიკური მახასიათებლები: ეროვნული (ენა, ისტორია, ხელოვნება, ფოლკლორი, ტრადიციები, ხალხური პედაგოგიკა) და ინტერნაციონალური პროცესების კომბინაცია, მულტიკულტურული განათ-

ლების პროცესში სწავლებისას ინტერაქციის დინამიური პროცესი, მულტიკულტურული განათლების სპეციფიური შინაარსი (გლობალიზმი, მშვიდობიანი მსოფლიო, პიროვნების საკაცობრიო კულტურა), მულტიკულტურული განათლების პრინციპების არსი (შემსწავლელზე ორიენტირებული, კულტურული მიდგომა, განათლების რეგიონალიზაცია), პედაგოგიკური ინტერაქციის, როგორც საბაზისო ელემენტის ჩართვა...

გათვალისწინებული უნდა იყოს ეთნიკური, ინდივიდუალური და დიფერენცირებული მიდგომა და მიზნების დასახვა მულტიკულტურული განათლებისათვის: მულტიკულტურული განათლების მიზნები განპირობებულია სოციალური მიგრაციით, ცხოვრების ისტორიული პირობებით, მულტიკულტურული განათლების საკაცობრიო კულტურის კონტექსტში განვითარებით. მულტიკულტურული განათლების შინაარსი განპირობებულია ტოლერანტობის, ეროვნული და ადამიანური ღირებულებების მოწინავე კულტურული იდეებით. მნიშვნელოვანია კონცენტრირება უახლოესი განვითარების ჰუმანიტარულ ზონაზე, თვითაქტუალიზაციის კულტურა, თვითგამოხატვა და იდენტობა, როგორც მულტიკულტურიზმის ჩამოყალიბების ფაქტორი კულტურათა გადაკვეთისას, მულტიკულტურული განათლების გზები: სამეცნიერო-სასწავლო, ფილოსოფიური, ეთნოლოგიური კვლევები, მულტიკულტურული განსხვავებების



მიგრაციის სოციალური და კულტურული ფენომენის ანალიზი, რომელიმე კონკრეტული კულტურის ღირებულებებთან ასოციაცია და იდენტიფიცირება, მულტიკულტურული საზოგადოების პრობლემებისადმი შემეცნებითი ინტერესის შექმნა, განათლების მიღება, საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტ განათლებაზე ორიენტირებით, გადაწყვეტილების მიღების კულტურული მექანიზმის დაუფლება, კულტურისა და სუბკულტურების სფეროებში პოტენციალის თვითრეალიზაციის უნარის გამომუშავება.

ამგვარად, 21-ე საუკუნის დასაწყისში

მასწავლებლის განათლება იღებს ახალ სოციოკულტურულ გარემოში განათლების ტრადიციულ ფუნქციას - მულტიკულტურული საზოგადოების იდეების განვითარებას, რეგიონალური საგანმანათლებლო სისტემების როლს, ცივილიზაციის ახალი პროცესების გამო მასწავლებელთა პერსონალის მოთხოვნილებების შეცვლას.

მულტიკულტურული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მოიცავს მოზრდილთა განათლების, უწყვეტი განათლებისა და სპეციალისტთა მულტიკულტურულ ტრენინგში თანამედროვე წინსვლის საკვანძო იდეებს.

#### **წყაროები:**

1. Borisov T. F. New values of education. - Issue . 4. - M. , 1996. - C.146- 148.
2. Dadov I. A. Development of national languages and pedagogy. - 2000. - № 4. - P.26 -30.
3. Zalepa E. A. The role of language in intercultural relations // Pedagogical Life in Crimea. - 2005. - № 7-8. - P.53 -57.
4. Kryaklyna T. F. Problems of interrelation between Cultures and Education: Author. Dissertation Doctor. Pedagogical Sciences , Tomsk , 1995. - 37 p.